საქართველოს უმაღლესი განათლების დაწესებულებებში ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის მიმართება ხარისხის უზრუნველყოფასთან

ხატია ვაჭარაძე

აბსტრაქტი

21-ე საუკუნის ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ საკითხს უმაღლეს განათლებაში, წარმოადგენს ინტერნაციონალიზაცია და ხარისხის უზრუნველყოფის მნიშვნელობა სწავლა/სწავლების სფეროს ეფექტურად წარმართვისთვის. არსებობს სხვადასხვა მიზეზი, რამაც განაპირობა უნივერსიტეტთა ინტერნაციონალიზაციის აქტუალობა, მაგალითად, გლობალიზაციის პროცესმა(Jooste & Heleta, 2017), კომერციალიზაციამ (Khorsandi , 2014)თუ სხვა.ამასთან, ინტერნაციონალიზაცია ხშირად განიხილება ხარისხთან ბმაში (Knight, 2004). მრავალი მოსაზრება არსებობს იმის შესახებ, თუ რამდენად დიდია ინტერნაციონალიზაციის წვლილი ხარისხიანი სწავლა/სწავლების ჩამოყალიბებაში. ამაზე მსჯელობდნენ ავტორები: ნაითი, აბდოული, კოლბი და სხვა (Knight, 1994)(Abdouli, 2007)(Colby & Witt, 2000). დღესდღეობით, ჩვენს ქვეყანაშიც წინ წამოიწია შეხედულებამ, რომ ინტერნაციონალიზაცია ხელს უწყობს განათლების ხარისხის განვითარებას. ამის დასტურია განათლების სამინისტროს მიერ ინტერნაციონალიზაციის ხშირი მოხსენიება. მაგალითად, 2018 წლის მაისში წარიმართა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, მიხეილ ჩხენკელის საუბარი ევროპის აკადემიის პრეზიდენტთან, ზირდ კლოტინკისთან, ევროპის კვლევების საბჭოს ვიცე-პრეზიდენტთან, ევა კონდოროშთან და ოქსფორდის უნივერსიტეტისპროფესორ, ალექს ვერხრაცკისთან განათლების ინტერნაციონალიზაციის შესახებ (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2018). სწორედ აქედან გამომდინარე, გასულ წლებში ეს მოსაზრება უკვე პოლიტიკის დონეზეც ფორმალიზდა. პრაქტიკაში ამის განხორციელების ბევრი მაგალითია ისეთი გაცვლითი პროგრამები, როგორიცაა Erasmus+, Mundus, Mevlana, და Fulbright. ასევე საგანმანათლებლო დაწესებულებების სტრატეგიები, სადაც ინტერნაციონალიზაცია ერთ-ერთი ხაზგასმული საკითხია. ამას მოწმობს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის ხედვა, სადაც უნივერსიტეტის კვლევითი პოტენციალის გაძლიერება და ცოდნის დისტრიბუცია ინტერნაციონალიზაციის საშუალებით უნდა მოხდეს (განათლება, 2014). აღსანიშნავია აგრეთვე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმაც 2017 – 2021, რომელშიც, ერთ-ერთ ყველაზე დიდ ადგილს ინტერნაციონალიზაცია იკავებს (თსუ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმა 2017-2021, 2016). ყველაზე თვალსაჩინოდ კი ინტერნაციონალიზაციის აქტუალობა ავტორიზაციის სტანდარტებში ჩანს, სადაც ეს პროცესი ერთ-ერთ აუცილებელ მოთხოვნად არის წამოყენებული. „უსდ[1]-ის ხელმძღვანელობა უსდ-ს მისიისა და მიზნის შესაბამისად, ხელს უწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების საერთაშორისო თანამშრომლობას და ინტერნაციონალიზაციის პროცესს“ (უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები, 2018) თუმცა ბუნდოვანია, თუ რამდენად განსაზღვრავს საქართველოს დიდ უნივერსიტეტებში ინტერნაციონალიზაცია განათლების ხარისხს. სწორედ ამის გარკვევას ემსახურება

[1]უმაღლესი საგანმანათლებო დაწესებულებები

წინამდებარე ნაშრომი. ამისთვის, გამოვიკვლიე ინტერნაციონალიზაციის სხვადასხვა მიზეზები უკვე დადგენილი პარამეტრებისა და კრიტერიუმების მიხედვით და დავუკავშირე ის განათლების ხარისხის მაჩვენებლებს. კერძოდ კი ვიკვლევთ ინტერნაციონალიზაცია რამდენად ჩანს უნივერსიტეტის დონეზე ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში.

წინამდებარე კვლევის მიზანს წარმოადგენდა საქართველოს სამ უნივერსიტეტში ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკისა და ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმებს შორის მიმართების დადგენა. ამის ფარგლებში გავაანალიზეთ დემინგის მიერ შემოთავაზებული განათლებისს განვითარების ციკლი, რათა გაგვეგო ოთხი ეტაპიდან (დაგეგმვა, მოქმედება, შემოწმება და გამოსწორება) (Deming , 2018), რომელ ეტაპზე ხდება უნივერსიტეტებში ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკასთან ხარისხის უზრუნველყოფის საკითხების დაკავშირება; გავარკვიეთ ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის განხორციელების საფუძვლად მდებარე ფაქტორები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში; ასევე ვნახეთ არის თუ არა სხვაობა კერძო და საჯარო უნივერსიტეტებს შორის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის მთავარი ვექტორების განსაზღვრისას.

კვლევა ჩატარდა თვისებრივი მეთოდის გამოყენებით. მონაცემთა შესაგროვებლად გამოვიყენეთ სიღრმისეული ინტერვიუ, სატელეფონო ინტერვიუ და ფოკუს ჯგუფი. სიღრმისეული ინტერვიუ და სატელეფონო ინტერვიუ ჩავატარეთ ერთი კერძო და ორი საჯარო უნივერსიტეტისს ხარისხის და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროს წარმომადგენლებთან და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაცია/ავტორიზაციის სამმართველოს უფროსთან და ფოკუს-ჯგუფი სტუდენტების დამოკიდებულების საკვლევად.

შედეგებმა მოლოდინები გაამართლა და მივაღწიეთ კვლევის ყველა მიზანს. ძირითადი მიგნებები იყო ის, რომ ხარისხის გარე მექანიზმების გარდა ინტერნაციონალიზაციის განხორციელება ხდება კომერციული ინტერესის, უნივერსიტეის სტრატეგიის, მისიის და გლობალურ პროცესებში ჩართვის გამო. აღმოჩნდა, რომ ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის განხორიელებისას უნივერსიტეტებს დაბრკოლებები ექმნებათ ქვეყნის საგარეო ურთიერთობათა სამსახურებში. კვლევამ საქართველოს მაგალითზეგვაჩვენა ნათელი კავშირი ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს შორის მოყვანილი კერძო და საჯარო უნივერსიტეტებისთვის.

საკვანძო სიტყვები: ინტერნაციონალიზაცია, ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა, ხარისხი, ხარისხის უზრუნველყოფა.

Abstract

In 21st century one of the most actual topic in higher education is internationalization and quality assurance for effective teaching/learning process. There are several reasons for popularity of this issue, such as globalization processes (Jooste & Heleta, 2017), commercialization (Khorsandi , 2014) etc. Furthermore, internationalization is often linked to quality (Knight, 2004). There are many ideas about the contribution of internationalization in high quality education. Many authors have discussed this issue: Knight, Abdouli, Colby (Knight, 1994)(Abdouli, 2007)(Colby & Witt, 2000) etc. Nowadays, in our country it is widely discussed that internationalization helps the development of education quality. The proof for this is active usage of the term internationalization by the ministry of education. For instance, the quadrilateral meeting was held amongst the Minister of Education and Science of Georgia -Mikheil Chkhenkeli, with the President of the European Academy of Sciences - Zyrd Klotnik, the Vice President of the European Studies Council -Eva Kondorosi and a Professor of Oxford University - Alex Vehratsky (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2018). Accordingly, in late years the ideas were formed into a policy. In practice, there are many examples of this: exchange programs such as Erasmus+, Mundus, Mevlana, and Fulbright. Moreover, internationalization is included in the strategies of higher education. The proof for this is the attitudes of the head of Ilia State University, who says that in order to distribute knowledge and enhance research practice in university, it is necessary to lead internationalization policy (განათლება, 2014). Internationalization process is widely discussed in the strategic development plan of Ivane Javakhishvili Tbilisi State University(თსუ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმა 2017-2021, 2016). In addition to this, authorization standards openly require internationalization to be presented in all universities. “The management of higher education institutions helps educational institutions in developing international cooperation and internationalization process based on its mission and goals.” (უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები, 2018). Whether the ratio of education quality is provided by the internationalization process is opaque. This is the main question of the following study. In order to find different reasons for putting internationalization into practice weexplored contemporary parameters and criterions and related them to the indexes of quality assurance. In particular, we wanted to know at what level internationalization and quality assurance mechanisms are related to each other on the university bases.

The goal of this research is to find the relation between internationalization policy and quality assurance external mechanisms based on three higher education institutions in Georgia. I want to analyze the theory of Deming, where education development cycle is presented based on four stages (plan, do, check, act) (Deming , 2018). It is interesting at which stage those two processes are related. I want to find the factors which are baseline towards internationalization policy and education quality. It is also interesting to know the difference between private and public institutions.

The research method was qualitative. In order to collect data the interview technique and focus group was used. Interview was held for representatives from education quality development center, public and private higher education quality department supervisors and international relation department supervisors. The focus group was held among students.

The results met our expectations. The main findings of research was that except quality assurance there are many factors that influence higher education internationalization policy such as: commercialization, university strategy, mission and engagement in global processes. Turned out that universities face problems on the state level, in particular they blame the international relation services of country in obstacles for international students. The study showed the clear relation between internationalization policy and education quality assurance mechanisms in the private and public higher education institutions in Georgia.

Key Words: Internationalization, Internationalization policy, Quality, Quality Assurance.

შესავალი

სწავლა/სწავლების წარმატებით წარმართვისერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ საკითხს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში წარმოადგენს ინტერნაციონალიზაცია და ხარისხის უზრუნველყოფის მნიშვნელობა. ბევრი მოსაზრება არსებობს იმის შესახებ, თუ რამდენად დიდია ინტერნაციონალიზაციის წვლილი ხარისხიანი განათლების ჩამოყალიბებაში. იერავდეკარი და ტივარი თვლის, რომ ეს პროცესები საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ზრდას უწყობს ხელს. (Yeravdekar & Tiwari, 2014).ნაითი და ალტბახი თვლან, რომ ინტერნაციონალიზაცია სწავლა/სწავლების ხარისხს პოზიტიურად ცვლის (Altbach & Knight, 2007). გვაქვს ვარაუდი, რომ საზღვარგარეთ მიღებული განათლებით, ადამიანები უფრო მარტივად იმკვიდრებენ თავს საზოგადოებაში. ზოგჯერ კი გამოცდილება გვეუბნება, რომ უცხოეთი ნაკლებად განაპირობებს კარგ მომავალ კარიერას.

ერთი შეხედვით,ინტერნაციონალიზაციასა და ხარისხს შორის კავშირი არ არის ცხადი, მაგრამის მნიშვნელოვანი ხდება მაშინ, როცა ვცდილობთ უმაღლესი განათლების მიზნებზე და სტრატეგიებზე საუბარს. ხარისხის უზრუნველყოფა ორ მიზანს: ანგარიშვალდებულებასა და გაუმჯობესებას ემსახურება (Kis, 2005). ინტერნაციონალიზაციის მოტივებიც ამ ორთან ერთად მრავალ სხვა კომპონენტებს მოიცავს. ლიტერატურის მიმოხილვის საფუძველზე ესაა მათი არასრული ჩამონათვალი: კომერციალიზაცია, საერთაშორისო განათლების ხელშეწყობა, პრივილეგირებული ტალანტების მოზიდვა, ბიზნესს კორპორაციებთან ღია ურთერთობა, უნივერსიტეტის კონკურენტუნარიანობა, ადამიანური კაპიტალის დინება, საკუთარი პროფილის შენება და ა.შ. ინტერნაციონალიზაციის მთავარი ფუნქციაა საერთაშორისო, ინტერკულტურული ან გლობალური განზომილებების ინტეგრირების გზით *სკოლის შემდგომი განათლების მიწოდება ადამიანებისთვის* (Knight, 2003). თუმცა, ბუნდოვანია როგორ ხდება ამ პროცესის განხორციელება და რა მიზნები უდევს მას საფუძვლად. ჩვენი კვლევის ერთ-ერთი მიზანიც ინტერნაციონალიზაციის საფუძვლად მდებარე მიზნების აღმოჩენა და მათი კომპლექსურად წარმოჩენაა საქართველოს მაგალითზე. კერძოდ, ვვარაუდობთ, რომ ინტერნაციონალიზაციისა და გარე ხარისხისმექანიზმებს შორის მიმართების დადგენა დაგვეხმარება სწორად აღვწეროთ, ავხსნათ და ვიწინასწარმეტყველოთ უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში განსახორციელებელი მომავალი აქტივობები, პრობლემები და მათი აღმოფხვრის გზები ჩვენს ქვეყანაში.

წინამდებარე კვლევის მიზანს წარმოადგენს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკასა და ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმებს შორის კავშირის გამოვლენა. ჩვენი კვლევის მთავარი კითხვაა: - როგორია ამ ორ საკითხს შორის მიმართება? ვარაუდი გვაქვს, რომ უნივერსიტეტები უმეტესწილად ანგარიშვალდებულების გამო კონცენტრირდებიან ინტერნაციონალიზაციის პროცესზე, თუმცა არ გამოვრიცხავთ, რომ არსებობს სხვა ფაქტორებიც, რომლებიც დიდ როლს თამაშობენ პოლიტიკის ჩამოყალიბებაში.

ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის კონცეფციაში გავაერთიანეთ, სტიერის მიერ შემოთავაზებული დეფინიცია, სადაც **იდეალიზმი, ინსტრუმენტალიზმი** და

განმანათლებლობა ინტერნაციონალიზაციის ძირითადი მამოძრავებელი ძალაა უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში(Stier, 2004). დავეყრდენით ნაითის თეორიას(Knight, 2003), ხორსანდის მიერ შემოთავაზებულ საფუძვლის კომპონენტებს (Khorsandi , 2014) და ჯუსტისა და ჰელეტას ფაქტორებს ინტერნაციონალიზაციის შესახებ(Jooste & Heleta, 2017), გვმსურს გამოვააშკარავოთ ურთიერთმიმართება ზემოთ მოყვანილ ცვლადებს შორის.

ხარისხის დეფინიციისას გამოვიყენეთ ჰარვის და გრინის ხუთი გადაჯაჭვული კონცეფცია (Harvey & Green, 1993), გარვინის მიდგომები (Garvin, 1988) და ბეკ და კოუანის ღირებულებათა სისტემები(Beck & Cowan , 1996). აღსანიშნავია, რომ მთავარი აქცენტიხარისხის უზრუნველყოფაზე და მის განზომილებებზე გაკეთდა, სადაც დემინგის თეორიულ მოდელს (Deming , 2018) დავეყრდენით კერძოდ, ხარისხის უზრუნველყოფის ციკლური პროცესი(რომელიც მოიცავს დაგეგმვას, მოქმედებას, შემოწმებასა და გამოსწორებას)დავაკავშირეთ ინტერნაციონალიზაციასთან და დავინტერესდით კონკრეტულად სად ძევს მთავარი პრობლემები. ასევე განვიხილეთ რა ხარისხის მართვის 3P მოდელი (Biggis, 2006) და გავაანალიზეთ, ინტერნაციონალიზაციასთან მიმართებით, რომელი დონეა ყველაზე მნიშვნელოვანი: წინაპირობა, პროცესი თუ პროდუქტი. ბოლოს კი, საქართველოში ხარისხის გარე შეფასების სისტემაზე: ავტორიზაციაზე შევჩერდით, რომლის ერთ-ერთ სტანდარტში, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა შეიტანა ინტერნაციონალიზაცია.

ლიტერატურის მიმოხილვა და თეორიული ჩარჩო

სტატიის ამ ნაწილში განხილულია ლიტერატურა, რომელიც სხვადასხვა მეცნიერის მიერ შემოთავაზებულ თეორიულ მოდელებზე და კვლევებზე დაყრდნობით გვაძლევს ინტერნაციონალიზაციისა და ხარისხის შესახებ კონცეპტუალურ ჩარჩოს, საზომ ინსტრუმენტებს და კვლევებს, რომელიც ამ საკითხებზე ჩატარდა;

უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია: დეფინიცია და თეორიული ჩარჩო

უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის სფეროში თეორიულად და მეთოდოლოგიურად გამართული კვლევების ჩატარება მე-20 საუკუნიდან დაიწყო. (Altbach & Knight, 2007) ლარსენის მიხედვით ინტერნაციონალიზაციის შესახებ არსებული ლიტერატურა შეგვიძლია დავყოთ იმის მიხედვით, თუ რას იკვლევენ: „სტრატეგიებს“ (ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიის ტიპები, აქტივობები და ინიციატივები); „ადგილმდებარეობებს“ (სად ხდება ინტერნაციონალიზაცია? ადგილობრივად თუ საზღვარგარეთ); „მოტივაციებს“ (ინტერნაციონალიზაციის მიზეზები უმაღლეს განათლებაში). (Larsen, 2013) თუ ლარენსის ტერმინებით იმსჯელებთ ჩვენი კვლევა, „სტრატეგიების“ და „მოტივაციების“ კატეგორიაში ვარდება. ხშირად ხდება, რომ უმაღლეს განათლებაში სხვადასხვა გარემო ფაქტორის გაუთვალისწინებლად ხდება სასწავლო მეთოდების ადაპტირება, რაც იწვევს იმას, რომ რაც ერთ სივრცეზეა მორგებული მეორეგან არ მუშაობს, აქედან გამომდინარე, აუცილებელია, ნებისმიერ საქმეში, რასაც ჩვენ ვაკეთებთ

გავითვალისწინოთ კონტექსტი. არ არსებობს გამოსავლის უნივერსალური მიდგომა: „ყველასთვის ერთია“ (Jooste & Heleta, 2017). ჩვენ გვაინტერესებს სწორედ იმ მოტივების კვლევა, რომელიც უცხოური განათლების ადაპტირების უკან ძევს. აქედან გამომდინარე, ვეყრდნობით რა ლარსენის კვლევის კატეგორიებს ვეცდებით ნაშრომის ფარგლებში შემოგთავაზოთ ინტერნაციონალიზაციის მანიფესტირებული და ლატენტური მიზეზები.

მრავალი ემპირიული მიდგომა არსებობს, რომელიც ლარსენის კატეგორიებს სხვა ჩარჩოებს ამატებს. ლიტერატურაში არსებულთაგან ყველაზე ნიშანდობლივია შემოთავაზებული სამი ჩარჩო, რომელსაც ყურადღება უნდა მივაქციოთ. პირველი, ინტერნაციონალიზაციის **„კონცეპტუალური“** ჩარჩო და მისი მიმართება ისეთ პროცესებთან, როგორიცაა გლობალიზაცია, ინტერკულტურული და მულტიკულტურული განათლება და საერთაშორისო განათლება. მეორე ესაა „**კრიტიკული**“ ლიტერატურა, რომელიც ინტერნაციონალიზაციის ყოველგვარ სწავლებასა და დისკუსიებს უკავშირდება, მაგალითად უპირატესობები, სარგებელი, გამოწვევები, საშუალებები და ა.შ. მესამე კი „**სტუდენტები“** რომლებიც იღებენ მონაწილეობას სწავლებასა და კვლევაში შიდა და საერაშორისო გამოცდილებით. (de Wit, 2011)

ისმის კითხვა: - და მაინც რა არის ინტერნაციონალიზაცია?

ავტორებს განსხვავებული მოსაზრება გააჩნიათ ინტერნაციონალიზაციის შესახებ. ლიტერატურის შეჯამებით, ეს არის პროცესი, რომლის საშუალებითაც საერთაშორისო განათლების საკითხების ინტეგრირება ხდება სასწავლო კურიკულუმში, რაც ემსახურება უნივერსიტეტთაშორისი თანამშრომლობის გაზრდას, უნივერსიტეტში შიდა პროცესების გაუმჯობესებას და კონკურენტუნარიანობის ზრდას უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის. საქმე იმაშია, რომ წლების განმავლობაში კვლევის და განვითარების შედეგად ინტერნაციონალიზაციის კონცეფციამ ჯერ ისევ ვერ მიაღწია მისი დეფინიციის საბოლოო ვარიანტს, რომელიც უნივერსალურად ყველასთვის მისაღები იქნებოდა. იმისთვის, რომ უკეთ გავიგოთ ინტერნაციონალიზაცია, როგორც პროცესი, უნდა გავმიჯნოთ მის მიმართ პრაქტიკული და თეორიული მიდგომა.

უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის თეორია არის საერთასორისო, ინტერკულტურული ან გლობალური განზომილებების ინტეგრაცია იმ ერთი მიზნის ირგვლივ, რომლის ფუნქციაა მიაწოდოს სკოლის შემდგომი განათლების ადამიანებისთვის მიწოდება. (Knight 2003)

თეორიული თვალსაზრისით არსებობს ინტერნაციონალიზაციის ტერმინის ოთხი ახსნა-განმარტება, რომელიც განიხილება ეროვნულ და ინსტიტუციონალურ დონეზე. ესენია: სოციო-კულტურული, პოლიტიკური, ეკონომიკური და აკადემიური. ეს ყველაფერი ერთი შეხედვით ინფორმაციულად ამომწურავია, თუმცა გვიჩნდება მრავალი კითხვა: როგორ შეიძლება ამ ყველაფრის პრაქტიკაში განხორციელება? რა კავშირშია ეს ხარისხის გარე მექანიზმებთან? ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის ეროვნულ მოთხოვნების შესრულება უნივერსიტეტის ანგარიშვალდებულებაა თუ არსებობს სხვა ფაქტორები რის გამოც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ილტვიან ინტერნაციონალიზაციისკენ?

შეგვიძლია თუ არა ინტერნაციონალიზაციის კონცეფციის ეს თეორიული ახსნა-განმარტებები ფარულ იმ მიზეზებად მივიჩნიოთ, რის გამოც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები მისდევენ მას? ამ შეკითხვებზე პასუხის გაცემას ცოტა მოგვიანებით ნაითის თეორიის ფარგლებში შევეცდებით.

პრაქტიკული თვალსაზრისით მეცნიერები გამოყოფენ და იკვლევენ ინერნაციონალიზაციის ექვს მთავარ კომპონენტს: 1) საერთაშორისო სტუდენტების მიღება, 2) სტუდენტების და აკადემიური პერსონალის მობილობა, 3) კვლევის, ცოდნის და ტექნიკური დახმარების გაცვლა, 4) მარკეტინგი და უნივერსიტეტის გაფართოვება 5) სასწავლო კურიკულუმის ინტერნაციონალიზაცია, 6) ვირტუალური ტრანსნაციონალური ინტერნაციონალიზაცია. ეს კომპონენტები ქმნიან ინტერნაციონალიზაციის მრავალმხრივ სტრატეგიულ პოლიტიკას, რაც ითვალისწინებს უმაღლესი განათლების დაწესებულებათა ნაციონალურ და ინტერნაციონალურ განზომილებებს. (Altbach & Knight, 2007; de Wit, 2011; Knight, 2008; Kehm & Teichler, 2007; Marginson & van der Wende, 2009; Maringe et al., 2013) ამ კომპონენტებიდან ჩვენს კვლევაში ვკონცენტრირდებით სტუდენტთა მობილობზე, ადმინისტრაციულ შეფასებასა და სახელმწიფო სტრუქტურის მიერ შემოთავაზებულ პოლიტიკის ანალიზზე.

ჩვენ უკვე განვიხილეთ ინტერნაციონალიზაციის კონცეფციის თეორიული და პრაქტიკული დახასიათება. ახლა გადავალთ ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის განხილვაზე, რომელიც საკვანძო საკითხია იმიტომ, რომ ის უმაღლესი განათლების მიზნების განსახორციელებლად ერთ-ერთი ყველაზე ხელშესახები პროცესია. სტიერის მიხედვით არსებობს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკისსამი ნორმატიული მოტივი , რომელიც გავლენას ახდენს უმაღლესი განათლების დაწესებულებების ადმინისტრაციულ პერსონალზე, შიდა პოლიტიკის შემქმნელებსა და ფაკულტეტებზე, იმის მიხედვით, თუ როგორ იგებენ და უდგებიან ინტერნაციონალიზაციას. ესაა: იდეალიზმი, ინსტრუმენტალიზმი და განმანათლებლობა. ჩვენთვის პოლიტიკური ჩარჩო მნიშვნელოვანია, რათა გავიგოთ ინტერნაციონალიზაციის განხორციელების მოტივები სხვადასხვა უნივერსიტეტებში. ამის გარკვევა დაგვეხმარება გავიგოთ რაზე კონცენტრირდება უნივერსიტეტი: ეროვნულ ანგარიშვალდებულებებზე, ხარისხის გაუმჯობესებაზე თუ სხვა.

ხარისხის ცნება უმაღლეს განათლებაში: დეფინიცია, თეორიული ჩარჩო და შეფასება

მრავალი მეცნიერი დღესაც მსჯელობს ტერმინის ერთი სრულყოფილი დეფინიციის ჩამოყალიბებაზე. იუნისეფის მიერ გამოქვეყნებულ ნაშრომში მოცემულია ძირითადი განზომილებები რასაც მოიცავს ხარისხის ცნება. ესენია: მოსწავლეები, გარემო, შინაარსი, პროცესები და შედეგები (Colby & Witt, 2000). ჩვენს კვლევაში ვკონცენტრირდებით მხოლოდ რამდენიმე განზომილებაზე: სტუდენტებზე, რომლებიც იუნისეფის მოსწავლეთა კატეგორიას მიეკუთვნება, პროცესებზე, რომელიც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ინტერნაციონალიზაციის განხორციელების დროს მიმდინარეობს და

შედეგებზე, რაც შესაძლოა ინტერნაციონალიზაციის პრაქტიკული გამოყენების შემდგომგავლენას ახდენდეს ხარისხზე.

კოლბის და ვიტის განზომილებებს გადაფარავს კემენანდეს და მისი კოლეგების მიერ შემოთავაზებული ხარისხის ოთხი კომპონენტი: ობიექტი, სტანდარტი, სუბიექტი და ღირებულებები.

ჰარვი და გრინის მიერ შემოთავაზებული ხარისხის ხუთი ურთიერთდაკავშირებული კონცეფცია, საუკეთესოდ განსაზღვრავს ხარისხს. ის არის *განსაკუთრებული,* მას ახასიათებს *მუდმივობა,* მიმართულია *მიზნისკენ,* გააჩნია *ფინანსურიღირებულება* და არის *გამჭვირვალე პროცესი*(Harvey & Green, 1993). თუ ინტერნაცონალიზაციის პროცესი უნივერსიტეტში ემსახურება ხარისხის გაზრდას, ჰარვის და გრინის თეორიის ფარგლებში ის პირდაპირპროპორციულად მოქმედებს ფინანსურ სარგებელზე.

პროდუქტზე და მომხმარებელზე საუბრისას უნდა აღვნიშნოთ ხარისხის შესახებ ბიგისის მიერ შექმნილი 3P მოდელი, (Biggis, 2006) რომელიც ამერიკულ მოდელს ემსგავსება: წინაპირობა- გარემო - შედეგი(Gibbs, 2010). აქაც ტერმინთა თამაშია, სადაც შინაარსობრივად ერთი და იგივე ფენომენი სხვადასხვა სახელითაა მოხსენიებული. ბიგისის 3P მოდელი,ხარისხის სრული მართვის აღსაწერად ერთ-ერთი იდეალური თეორიული კონსტრუქტია, რომელიც მოიცავს წინაპირობას, პროცესს და პროდუქტს. წინაპირობაში ერთიანდება შემდეგი პრაქტიკული აქენტები: ა) დაფინანსება, ბ) სტუდენტთა შეფარდება აკადემიურ პერსონალთან, გ) აკადემიური პერსონალის ხარისხი დ) სტუდენტთა ხარისხი. პროცესი მოიცავს სასწავლო კურიკულუმისთვის დადგენილ გეგმებს, სტუდენტთა შედეგებს, მათ ჩართულობას კვლევებში, რანჟირების სისტემებს და სხვადასვა ინდიკატორებს, რომლითაც შესაძლოა ინტელექტუალური გამოწვევების გაზომვა. პროდუქტი უკვე არის სტუდენტთა მიღწევის დონე, დასაქმებადობა, მიღწეული ხარისხის დონე, ჩართულობა და ა.შ.(Biggis, 2006). ეს კონკრეტული ელემენტები პრაქტიკული თვალსაზრისით გაზომვადი და კვლევისთვის ხელშესახები ფაქტორებია, რომელთა მიმართების დადგენა ინტერნაციონალიზაციის პრაქტიკულ კომპონენტებთან ჩვენი კვლევის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს. ზოგ შემთხვევაში ეს ინდიკატორები ერთმანეთს ემთხვევა, მაგალითად ერთი მხრივ საინტერესოა სტუდენტთა სწავლების ხარისხი გაცვლითი პროგრამების გავლის შემდეგ რა მიმართულებით შეიცვალა, ან მეორე მხრივ დასაქმებადობის თვალსაზრისით რა როლი ითამაშა ხარისხის გარე უზრუნველყოფის სტანდარტებმა, რომლებშიც ინტერნაციონალიზაცია ერთ-ერთ აუცილებელ მოთხოვნადაა გათვალისწინებული.

სანამ ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებზე გადავალთ, მინდა განვიხილოთ თუ რას ნიშნავს თვითონ ხარისხის უზრუნველყოფა? - დემინგის მიხედვით ესაა მორალურად გამართლებული, პროფესიონალური, შეჯიბრებითი და ანგარიშვალდებული პროცესი. მისი გაუმჯობესება შესაძლებელია ლოგიკურად ერთმანეთზე გადაბმული წრიული საფეხურების საშუალებით. ესენია: დაგეგმვა, მოქმედება, შემოწმება და გამოსწორება. (Deming , 2018)ამ ფაქტორების გაანალიზებით ჩვენ შევძლებთ ვნახოთ ციკლის რომელ ეტაპზეა პრობლემა? რომელია ყველაზე დიდი მამოძრავებელი ძალა? როგორ განვახორციელოთ ესა თუ ის

მიზანი? და რაც მთავარია, მივხვდებით რომელ დონეზე ხდება ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკასთან ხარისხის უზრუნველყოფის დაკავშირება.

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში გარე ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთი მექანიზმია ავტორიზაციის პროცესი. ავტორიზაციის სტანდარტების მიზანია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობა და სტუდენტზე ორიენტირებული საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველყოფა. უსდ-ის ავტორიზაციის სტანდარტები შეესაბამება საქართველოს უმაღლესი განათლების მიზნებისა და ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის მოთხოვნებს. სტანდარტები ითვალისწინებს დაწესებულების სრულფასოვან შეფასებას, რაც გულისხმობს უსდ-ის რესურსების, რეგულაციების, განხორციელებული, მიმდინარე და დაგეგმილი საქმიანობის, მიღწეული შედეგების და მისაღწევი შედეგებისათვის შესაძლებლობების (შესაბამისი დაგეგმილი აქტივობები, მათი შესრულების მექანიზმები და გამოყოფილი რესურსები) შეფასებას. (უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები, 2018)

სტანდარტების მეორე პუნქტში, რომელიც ეხება ორგანიზაციულ სტრუქტურას და მართვას, ხელმძღვანელობის ვალია, უსდ-ს მისიისა და მიზნის შესაბამისად, ხელი შეუწყოს საგანმანათლებლო დაწესებულების საერთაშორისო თანამშრომლობასა და ინტერნაციონალიზაციის პროცესს. მეექვსე პუნქტიში, რომელიც ეხება კვლევას განვითარებას ან/და სხვა შემოქმედებით საქმიანობას, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს ევალებათ შემოქმედებითი, კვლევითი განვითარებითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაცია (უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები, 2018). ჩვენი საკვლევი კითხვაც სწორედ ამ სტანდარტებთან მიმართებით დაისმის: არსებობს უნივერსიტეტებში ინტერნაციონალიზაციასა და ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმებს შორის ანგარიშვალდებულებითი კავშირი, თუ უნდა ვეძიოთ სხვა ფაქტორები რის გამოც ხდება ინტერანციონალიზაციის პოპულარიზაცია?

ჩატარებული კვლევები

ინტერნაციონალიზაციისა და ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებზე მრავალი საერთაშორისო კვლევა მოიპოვება, თუმცა აღსანიშნავია, რომ საქართველოს მაგალითი კონკრეტულად ამ კონტექსტში იშვიათად ფიგურირებდა. აქედან გამომდინარე, გადავწყვიტეთ, შემთხვევის შესწავლა სწორედ ჩვენი ქვეყნის მდგომარეობის აღსაწერად გაგვეკეთებინა.

ლელა სამნიაშვილის სადისერტაციო ნაშრომი, რომელიც ქართული უნივერიტეტების ფუნქციონირების ძირითად განზომილებებს და მათში მიმდინარე პროცესებს ეხება,ინტერნაციონალიზაციის პროცესის ახსნის ნათელი დემონსტრაციაა.ავტორის აზრით დაინტერესებულ მხარეთა ბაზრის ათვისება არ უნდა მოხდეს ხარისხის უგულებელყოფის ხარჯზე, არამედ, ქართულმა უნივერსიტეტებმა უნდა ჩაატარონ აკადემიურად საგულდაგულო შერჩევის პროცედურები, რათა თავიდან აირიდონ სტუდენტთა ჭარბი მიგრაციით გამოწვეული რისკები (სამნიაშვილი, 2017).

ინტერნაციონალიზაციისა და ხარისხის უზრუნველყოფის საკითხი, რომელიც მსოფლიო მასშტაბის აკრედიტაციას მოიცავს იკვლია დირკ ვან დამემ. მან აღწერა და შეისწავლა ორი მნიშვნელოვანი საკითხი, კერძოდ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ხარისხის განზომილებათა ინტეგრაცია ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკაში და ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის და პრაქტიკის ადაპტირება მზარდ საერთაშორისო არენაზე. ავტორი გვთავაზობს ოთხ პოტენციურ გზას, რითაც ხარისხის უზრუნველყოფის სისტემები შესაძლოა განვითარდეს: პირველი მოდელი ეფუძნება არსებული ეროვნული სააგენტოების გაძლიერებას, მეორე მოდელი საზღვრის მიღმა არსებულ პროექტებში ჩართულობას და საერთაშორისო თანამშრომლობას, მესამე, მოიცავს ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების მეტააკრედიტაციის სტანდარტებისთვის ჩარჩოს შექმნას, მეოთხე, კი საერთაშორისო ხარისხის უზრუნველყოფის სქემების შემუშავებას. (Damme, 2000)

უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის და ხარისხის უზრუნელყოფის საკითხი ჩრდილო-სამხრეთ თანამშრომლობაში იკვლია ტუოჰაი აბდოულიმ ტუნიზიის მაგალითზე. მისი ნაშრომის ძირითადი იდეა ეხებოდა ამ ორი კონცეფციის ურთიერთდამოკიდებულების კვლევას. მას აინტერესებდა რამდენადაა დამოკიდებული ამ ორი პროცესის წარმატება ერთმანეთზე. ის ამტკიცებს, რომ გლობალიზაციის შემოჭრა ეროვნული ღირებულებების შებღალვას აუცილებლად არ გულისხმობს. ეს შეიძლება ნიშნავდეს ლოკალური ნაციონალური სისტემის გაფართოებას გლობალური სისტემის შექმნით, რომელსაც ეროვნული კომპონენტები გააჩნია. ვერც ერთი გლობალური სისტემა შეიქმნება ლოკალური პლატფორმის გათვალისწინების გარეშე. მისი აზრით, ასეთი სისტემა ხარისხის თვალსაზრისით ფრიად ღირებულია, რადგან ინტერნაციონალიზაციის მიღწევა პირველ რიგში ეროვნული საკითხების აღმოჩენას და შემდგომ მათი ხარისხის უზრუნველყოფას უწყობს ხელს. (Abdouli, 2007)

ჰოლანდიის მაგალითზე მუშაობდნენ მკვლევართა ჯგუფი ტვენტის უნივერსიტეტიდან. მათი მთავარი საკვლევი კითხვები ეხებოდა უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის დროს ხარისხის უზრნველყოფას, იმ ინსტრუმენტებს, რომლებიც ხელმისაწვდომია ამ პროცესების გასაზომად, თანამედროვე გამოცდილების აღწერას მომავლის სამოქმედო გეგმებს და ბოლოს ინტერნაციონალიზაციის მიღწევის მონიტორინგს. (Benneworth, De Boer, File, Jongbloed, & Westerheijden, 2011)

ფინეთისა და ტაივანის შედარებითი ანალიზი შემოგვთავაზა სამაგისტრო ნაშრომში პო იუნ ლიუმ. მან აღმოაჩინა კავშირი უმაღლეს საგანმანათლებლო სისტემებს შორის ამ ორ ქვეყანაში. კვლევის მიზანი იყო ინტერნაციონალიზაციის გავლენის გამოაშკარავება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკაზე. ემპირიული კვლევა ჩატარდა თვისებრივი ინტერვიუირების მეთოდოლოგიის გამოყენებით ინსტიტუციურ დონეზე. მთავარი ექვსი განზომილება რაზეც ავტორი კონცენტრირდა მოიცავდა პოლიტიკის პრობლემას, პოლიტიკის მიზნებს, პოლიტიკის ინსტრუმენტებს, პოლიტიკის კავშირებს, პოლიტიკის შესრულებას პრაქტიკაში და პოლიტიკის გამოწვევებს. (Liu, 2008)

კვლევის მიზანი

აქამდე ჩვენ განვიხილეთ ინტერნაციონალიზაციისა და განათლების ხარისხის დეფინიციები, არსებული თეორიული მოდელები, მათი შეფასების საშუალებები და საერთაშორისო კვლევები. ახლა გადავალთ კვლევის მიზანების და კითხვების განხილვაზე:

- როგორ ხდება ინტერნაციონალიზაციის პრაქტიკაში განხორციელება?
- რა მიმართებაა ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკასა და ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმებს შორის?
- დემინგის ციკლური ოთხი ფაქტორიდან (დაგეგმვა, მოქმედება, შემოწმება და გამოსწორება) (Deming , 2018) რომელ ეტაპზე ხდება ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკასთან ხარისხის უზრუნველყოფის დაკავშირება?
- რა არის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის განხორციელების საფუძვლად მდებარე ფაქტორები საქართველოს სამ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში?
- ინტერნაცონალიზაციის პოლიტიკა რა მიმართებაშია ხარისხის ზრდის შედეგად მიღებულ ფინანსურ სარგებელთან?
- ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმების გარდა რა ფაქტორების გამო ხდება ინტერანციონალიზაციის პოპულარიზაცია?
- რა განსხვავებები და მსგავსებებია კერძო და საჯარო უნივერსიტეტებში ამ საკითხების ფარგლებში?
- ინტერნაციონალიზაციის განხორციელების ფონზე რა იცვლება უნივერსიტეტისთვის? ხდება თუ არა რაიმე შიდა/გარე პროცესების გაუმჯობესება? იცვლება თუ არა ღირებულებები?
- რა დამოკიდებულები აქვთ სტუდენტებს ინტერნაციონალიზაციის მიმართ? (ეს მნიშვნელოვანია, რადგან ვთვლით, რომ უნივერსიტეტში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან დაინტერესებულ მხარეს სწორედ სტუდენტები წარმოადგენენ).

ჰიპოთეზები

ამ ნაწილში წარმოგიდგენთ ჩვენი კვლევის განხორციელებამდე ჩამოყალიბებულ ვარაუდებს.

i. ვეთანხმებით ალტბახის ნაიტის და კოლეგების მოსაზრებას და ვამოწმებთ ქართულ პოპულაციაში ინტერნაციონალიზაციის პრაქტიკაში განხორციელება რამდენად ხდება შემდეგი პროცესების საფუძველზე: 1) საერთაშორისო სტუდენტების მიღებია, 2) სტუდენტების და აკადემიური პერსონალის მობილობა, 3) კვლევა და ცოდნის გაცვლა ისევე, როგორც ტექნიკური დახმარება, 4) მარკეტინგი და უნივერსიტეტის გაფართოვება 5) სასწავლო კურიკულუმის ინტერნაციონალიზაცია, 6) ვირტუალური ტრანსნაციონალური ინტერნაციონალიზაცია. (Altbach & Knight, 2007; de Wit, 2011; Knight, 2008; Kehm & Teichler, 2007; Marginson & van der Wende, 2009; Maringe et al., 2013)

ii. ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა მჭიდროდ უკავშირდება ხარისხის უზრუნველყოფის მიზნებს ანგარიშვალდებულებასა და გაუმჯობესებას.

- დემინგის ოთხი ციკლური ფაქტორის (დაგეგმვა, მოქმედება, შემოწმება და გამოსწორება) (Deming , 2018) ფარგლებში ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკასთან ხარისხის უზრუნველყოფის დაკავშირება ხდება მოქმედების ეტაპზე.
- ინტერნაციონალიზაციის განხორციელება გავლენას ახდენს უნივერსიტეტის ღირებულებებზე, სტუდენტთა მოტივაციასა და დამოკიდებულებებზე.

iii. ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის განხორციელების საფუძვლად მდებარე ფაქტორები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებშია: ანგარიშვალდებულება, წინსვლა, კომერციალიზაცია, საერთაშორისო განათლების ხელშეწყობა, პრივილეგირებული ტალანტების მოზიდვა, ბიზნესს კორპორაციებთან ღია ურთერთობა, უნივერსიტეტის კონკურენტუნარიანობა, ადამიანური კაპიტალის დინება, საკუთარი პროფილის შენება, გლობალიზაცია, უნივერსიტეტის დივერსიფიკაცია, სასწავლო პროცესის ხარისხი, ცხოვრების სტილის გაუმჯობესება, საგანმანათლებლო და ინტელექტუალური ღირებულებები, აკადემიური სფეროს გაძლიერება, გლობალური ცნობიერების შექმნა და საერთაშორისო გალენა.

iv. საჯარო უნივერსიტეტებისთვის ერთ-ერთი ნომერ პირველი პრეროგატივაა ინტერანაციონალიზაციის პოლიტიკის განხორციელება, თუმცა კერძო უნივერსიტეტები ამ პოლიტიკას ავტორიზაციის სტანდარტების ანგარიშვალდებულების გამო ატარებენ.

კვლევის მეთოდები

კვლევა განხორციელდა თვისებრივი მეთოდის გამოყენებით. გამოვიყენეთ შემთხვევის შესწავლის მეთოდი, კერძოდ ვკონცენტრირდით მხოლოდ საქართველოს ფარგლებში მოპოვებული ინფორმაციის სიღრმისეულ შესწავლაზე. ამ მეთოდის საფუძველზე შევაგროვეთ აღწერითი ანუ თვისებრივი მონაცემები ინტერვიუს და ფოკუს-ჯგუფის საშუალებით. მთავარი აქცენტი გაკეთდა პროცესის შესწავლაზე და მის დეტალურ აღწერა - ახსნაზე. ჩვენ დავეყრდენით რამდენიმე თეორიას და კვლევის ჩარჩოებიც სწორედ აქედან გამომდინარე შევქმენით: კერძოდ, დემინგის, ნაითის, ალტბახის და მისი კოლეგების ნაშრომებს.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის ფარგლებში გამოვიყენეთ ნახევარდ სტრუქტურირებული სიღრმისეული ინტერვიუ და ფოკუს-ჯგუფი, რომელსაც ამ ნაწილში დეტალურად განვიხილავთ.

სიღრმისეული ინტერვიუ ავირჩიეთ, რადგან გვსურდა შესასწავლ საკითხზე დაწვრილებით გაგვეგო რესპოდენტების ნააზრევი. ჩვენი ინტერვიუ შედგებოდა სამი საფეხურისგან: პრეინტერვიუ, კერძოდ ინტერვიუ და პოსტინტერვიუ (ზურაბიშვილი, 2006). პრეინტერვიუს ფარგლებში დავეკონტაქტეთ რესპოდენტებს, დეტალურად ავუხსენით კვლევის მიზანი, მოტივები და მათი მონაწილეობის მნიშვნელობა. გამოვიყენეთ ინფორმირებული თანხმობა და მათი ნებართვის შესაბამისად ტექნიკური საშუალებების გამოყენებით ჩავიწერეთ პასუხები. კერძოდ-ინტერვიუს დროს უკვე პირადი შეხვედრის საფუძველზე გაიმართა დიალოგი ინფორმაციის მოსაპოვებლად. პოსტინტერვიუს დროსრესპოდენტთან ვიმსჯელეთ შესაძლო დამატებით შეხვედრაზე, მადლობა გადავუხადეთ კვლევაში შეტანილი წვლილისთვის და დავემშვიდობეთ.

სიღრმისეული ინტერვიუს დროს ვამჯობინეთ ნახევრად-სტრუქტურირებული შეკითხვების შემუშავება, ინტერვიუს ჩარჩოს საშუალებით უკეთ ვაკონტროლებდით პტოცესს. სადისკუსიო გეგმამ საშუალება მოგვცა შეგვედარებინა სხვადასხვა ინტერვიუს შედეგად მიღებული ინფორმაცია. (ზურაბიშვილი, 2006) სადისკუსიო გეგმა ძირითადად შედგებოდა ღია კითხვებისგან.

მიღებული მონაცემების განხილვისთვის გამოყენებულ იქნა ინტერნპრეტაციული ანალიზისა და კონტენტ-ანალიზის სტრატეგია. თავდაპირველად მოხდა აუდიო მასალის ტრანსკრიპტის შექმნა, შემდგომ ინფორმაციის კოდირება თეორიული ჩარჩოს მიხედვით და ბოლოს, მასალის ტიპიზაცია.

მეორე მეთოდოლოგია, რაც ემპირიულ მონაცემთა შესაგროვებლად, კერძოდ დამოკიდებულებების საკვლევად გამოვიყენეთ არის ფოკუს-ჯგუფი. სტუდენტთა მოსაზრების გასაგებად ავირჩიეთ ფოკუს-ჯგუფი, რადგან ამ გზით შევძელით მცირე შერჩევაზე დაყრდნობით შეგვექმნა დიდ ჯგუფზე წარმოდგენა. ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო საუნივერსიტეტო სივრცეში სტუდენტების აზრთა მრავალფეროვნების აღწერა. ფოკუს-ჯგუფში მონაწილეთა რაოდენობა მერყეობდა 7-დან 9 კაცამდე. ვეცადეთ, ჯგუფი ასაკობრივად და სტატუსის მხრივ ჰომოგენური ყოფილიყო.

მოდერატორის მიერ გამოყენებული ფოკუს-ჯგუფის ჩატარების სტილი იყო ლიბერალური, (ზურაბიშვილი, 2006), რათა არ მომხდარიყო რომელიმე ჯგუფის მარგინალიზაცია და დისკრიმინაცია.

ფოკუს-ჯგუფის დასრულების შემდეგ მოხდა მონაცემთა ტრანსკრიპტის შექმნა და ამ მასალაზე დაყრდნობით ანგარიშის შემუშავება.

შეფასების ინსტრუმენტების შინაარსობრივია ღწერა

ინტერნაციონალიზაციის გასაზომად გამოვიყენეთ ზემოთ აღწერილი უნივერსიტეტთა საერთაშორისო ასოციაციის (IAU)[2] მიერ შემოთავაზებული გლობალურად ადაპტირებული კითხვარი (Marinoni, 2018), რომლის მიხედვითაც შესაძლებელია უმაღლესი განათლების

[2] International Association of Universities (IAU)

ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის საფუძვლად მდებარე მრავალი ასპექტის შეფასება ისევე როგორც მისი შესაბამისობა ხარისხთან.

ამ ინსტრუმენტის გამოყენებით ჩვენ შევაფასეთ კონკრეტულად ის საფუძვლად მდებარე კომპონენტები, რასაც ინტერნაციონალიზაციის განხორციელებაში დიდი წვლილი მიუძღვის, დაწყებული ხარისხის გარე მექანიზმებიდან, დამთავრებული კომერციალიზაციით.

ხარისხის შესაფასებლად გამოვიყენეთ პოიუნ ლიუს მიერ შექმნილი ღია შეკითხვები. (Liu, 2008). შეკითხვათა კატეგორიზაცია გავაკეთეთ იმის მიხედვით თუ, რომელ ადმინისტრაციულ ან ეროვნულ განაყოფს გამოვიკითხავდით: განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სამმართველოების უფროსებს თუ უნივერსიტის დეპარტამენტის უფროსებს.

სტუდენტთა დამოკიდებულებებისა და განწყობების საკვლევად შევქმენითფოკუს-ჯგუფის სადისკუსიო გეგმა. გვაინტერესებდა მათი მოსაზება ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკისადმი, რა პრობლემებს, რისკებს და გამოწვევებს აწყდებიან და რა მოტივაცია აქვთ, რომ მიიღონ საერთაშორისო განათლება.

პროცედურისაღწერა, სამიზნეჯგუფებიდაშერჩევა

კვლევა დავიწყეთ 21-ე საუკუნის აქტუალური საკითხების მოძიებით. შემდეგ განვიხილეთ ლიტერატურა, გავეცანით საერთაშორისო და ლოკალურ კვლევებს და მოვარგეთ საკითხის ფოკუსი ქართულ რეალობას. ამის შემდეგ შევარჩიეთ მეთოდოლოგია და საკვლევი ინსტრუმენტები.

თავდაპირველად დავიწყეთ სამი სამიზნე ჯგუფის საკონტაქტო ინფორმაციის მოძიება. ინფორმირებული თანხმობის საფუძველზე განვახორციელეთ კვლევის პროცედურა, რომელიც სამი ეტაპისგან შედგებოდა:

პირველი ეტაპი 25 – 30 წთ გაგრძელდა. ჩავიწერეთ სიღრმისეული სატელეფონო ინტერვიუ ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარის გამოყენებით. სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციის სამმართველოს უფროსი წარმომადგენელი. ინტერვიუს პროცესში არ შექმნილა არანაირი დაბრკოლება, რესპოდენტი ჩანდა გულწრფელი და ღიად ითანამშრომლა კვლევის ავტორთან.

მეორე ეტაპი 25 – 30 წთ გაგრძელდა. ჩავიწერეთ სიღრმისეული ინტერვიუ და სატელეფონო ინტერვიუ ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარის გამოყენებით. სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდნენ კერძო და საჯარო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ორი დეპარტამენტის: საერთაშორისო ურთიერთობებისა და ხარისხის მართვის წარმომადგენლები. შევარჩიე საქართველოში ყველაზე ცნობილი სამი კერძო და საჯარო უნივერსიტეტები: თავისუფალი უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ინტერვიუს

პროცესში არ შექმნილა არანაირი დაბრკოლება, რესპოდენტი ჩანდა გულწრფელი და ღიად ითანამშრომლა კვლევის ავტორთან.

მესამე ეტაპი დაახლოებით 30წთ-დან 1,5 სთ-მდე გრძელდა. ჩატარდა ფოკუს-ჯგუფი ნახევრად სტრუქტურირებული სადისკუსიო გეგმის გამოყენებით. სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდნენ სტუდენტები, და გვაინტერესებდა მათი დამოკიდებულებების კვლევა. კვლევის ხანგრძლივობიდან გამომდინარე სტუდენტთა შერჩევის ტიპი იყო არაალბათური. კერძოდ, სტიქიური შერჩევა, რაც ნიშნავს, რომ ხდებოდა ყველა შესაძლო თვისუფალი რესპოდენტის ჩაწერა სამი უნივერსიტეტიდან. ჩატარდა სამი ფოკუს-ჯგუფი, თითო უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის ცალ-ცალკე, რათა გვყოლოდა ერთნაირი სოციალური ჯგუფები. მოდერატორის ლიბერალური მიდგომიდან გამომდინარე პროცესი მშვიდად ჩატარდა და გამოიკვეთა საინტერესო აქცენტები.

სამიზნე ჯგუფის ყველა წევრმა ხელი მოაწერა ინფორმირებულ თანხმობას.

მონაცემების დამუშავება

თვისებრივი შედეგების დამუშავებისას არ გამოგვიყენებია ერთი კონკრეტული მიდგომა, რადგან თავად სიღრმისეული ინტერვიუს და ფოკუს-ჯგუფის მეთოდს არ გააჩნია მტკიცე ფორმალიზებული ჩარჩოები. (ზურაბიშვილი, 2006) არამედ თვისებრივი ტექსტური ინფორმაციის გასაანალიზებლად გამოვიყენეთ ორი სტრატეგია: კონტენტ-ანალიზი და ინტერპრეტაციული ანალიზი. მონაცემთა გაშიფრვა დავიწყეთ საველე სამუშაოების დასრულებისთანავე.

მონაცემების თვისებრივი ანალიზის საწყისი ეტაპი იყო ინფორმაციის კოდირება.სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რესპოდენტების მონათხრობში გამოვყავით მნიშვნელოვანი თემატური ბლოკები, კატეგორიები, ფაქტორები და ელემენტები, რომლებიც ჩვენ მიერ შერჩეული თეორიულ კონსტრუქტებს მოვარგეთ.

ტექსტის თვისებრივი ანალიზის შემდგომ ეტაპზე შევქმენით შედეგების კლასიფიკაცია, კერძოდ, რესპოდენტთა ნაამბობზე დაყრდნობით, თეორიული აბსტრაქციის შედეგად შევადგინეთ სოციალურად მნიშვნეოვანი ასპექტებისტიპიზაცია.

ბოლოს კი შედეგები შევაფასეთ და გავაკეთეთ დაშვებები ინტერნაციონალიზაციის მიზეზების შესახებ. შემდეგ ნაწილში ანგარიშსსახით გთავაზობთ შედეგების განხილვას.

შედეგების განხილვა

თემის ამ ნაწილში განვიხილავთ იმას, თუ რამდენად მოხდა მთავარი თეორიების ტერმინებში მონაცემებისა და შედეგების თანხვედრა. განვიხილავთ, იმასაც, თუ რომელი ჰიპოთეზა გამართლდა, და რა სხვაობები გვაქვს საერთაშორისო კვლევებთან შედარებით.

დავიწყოთ სტიერის თეორიით. სტიერის მიხედვით იდეალისტური მიდგომა ნორმატიულია და ინტერნაციონალიზაციას მიიჩნევს, როგორც ჭეშმარიტად კარგს.

იდეალისტური მიდგომით, ინტერნაციონალიზაციის ინიციატივები, მიმართულია იმისკენ, რომ რომ უმაღლესმა განათლებამ შეიძლება ყველაზე დიდი წვლილი შეიტანოს უფრო დემოკრატიულ, სამართლიანი და თანასწორი სამყაროს შექმნაში. ამიტომ უნივერსიტეტების ვალი, სხვა დანარჩენთა შორის, არის მოქალაქეთა იმ განმათავისუფლებელი ენთუზიაზმის ხელშეწყობა, რომელიც მიმართულია მსოფლიოს უკეთესი ცვლილებისთვის. (Stier 2004)

ინსტრუმენტალიზმი, უმაღლეს განათლებაში ნიშნვას სარგებლის გაზრდას, რათა ეკონომიკური მდგრადობა და განვითარება შენარჩუნდეს და მოხდეს სასურველი მმართველი იდეოლოგიების მონაცვლობა ტრანსნაციონალურ კორპორაციებში, ინტერესთა ჯგუფებში და სუპრანაციონალურ რეჟიმებში. (Stier 2004)

განმანათლებელთა თვალსაზრისით ინტერნაციონალიზაციის მიზანი უფრო შორს მიდის ვიდრე იდეალიზმი და პოლიტიკის დღის წესრიგის შემქმნელთა პროფესიული მისწრაფებები. (Stier 2004) მათი არგუმენტებით, ინტერნაციონალიზაციამ შეიძლება წვლილი შეიტანოს პირად ზრდაში და თვით-აქტუალიზაციაში. განათლების როლია, ადამიანთა დახმარება გაიგონ კულტურული სხვაობები და ერთფეროვნებები და პატივი სცენ მათ.

კვლევის ფარგლებში აღმოჩნდა, რომ კერძო უნივერსიტეტები უფრო ინსტრუმენტალურ პოლიტიკას ატარებენ, მაშინ როცა საჯარო უნივერსიტეტებში ამბივალენტური პოლიტიკა გამომჟღავნდა, ზოგისთვის განმანათლებლობა იყო პრიორიტეტი, ზოგისთვისიდეალისტური პოლიტიკური მოტივები.

მსოფლიოს სხვადასვა წერტილში მყოფი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ინტერნაციონალიზაციის პროცესში მონაწილობას იღებენ მრავალი სხვადასხვა მიზნის, ინიციატივისა და პროცესების გამო. ამ მიზეზების გამოაშკარავება ყველას სურს, თუმცა არსებობს ბუნდოვანი არგუმენტები და ახსნები. ჩვენი კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ეს ინიციატივები შეიძლება მერყეობდეს ტრადიციული მოტივებიდან, (როგორიცაა სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მობილობა, სასწავლო კურიკულუმის ცვლილება, საერთაშორისო ინსტიტუციური კავშირები, რომელიც მიმართულია სწავლებისა და კვლევისთვის,) გლობალური პროგრამების და იმ საკვანძო კავშირების შექმნამდე, რომელიც აახლოვებს უფრო პოპულარულ და ნაკლებ პოპულარულ უნივერსიტეტებს ერთმანეთთან. ინტერნაციონალიზაცია საჯარო სექტორში აღქმულია იმის მიხედვით, თუ რა შიდა მოთხოვნები გააჩნია უნივერსიტეტებს. უფრო მეტიც, ის იცვლება სასწავლო პროგრამის, ადამიანთა ურთიერთობების და საბაზრო პოლიტიკის მიხედვით. ფინანსური მოტივი, რომელიც კერძო უნივერსიტეტებისთვისაა აპრიორი, პირველი და ყველაზე ძლიერია საერთაშორისო სტუდენტთა მოსაზიდად და ის შენიღბულია უფრო „ზედაპირული“ საკითხებით, რომელიც უნივერსიტეტის კულტურას უკავშირდება. ზოგიერთი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც კვლევისკენაა მიმართული, ცდილობს ინტერნაციონალიზაციის მოტივების დაფარვას, თუმცა კითხვაზე რატომ? - პასუხი ორაზროვანია.

ახლა გადავალთ იმ ფაქტორების განხილვაზე, რომლებიც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ინტერნაციონალიზაციის განხორციელებას უდევსმოტივად.

უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციას მრავალი საფუძველი გააჩნია. ერთ-ერთი მათგანი არის კომერციალიზაცია, რომელიც ემსახურება კვლევის და სკოლის შემდგომი განათლების გადასვლას ფინანსურ სარგებელზე, კერძოდ, საერთაშორისო შეჯიბრის საშუალებით უცხოელ სტუდენტთა მოზიდვა უფრო მდიდარი და პრივილეგირებული ქვეყნებიდან, გვაძლევს მრავალპროფილიან სარგებელს: შემოსავლების შეგროვებას, ეროვნული პროფილის უსაფრთხოების უზრუნველყოფას და საერთაშორისო რეპუტაციის შენებას. ის ასახავს დღევანდელი დღის ყოფას და გვაჩვენებს ინტერნაციონალიზაციის სამყაროს განსხვავებულ პროფილში. ეს მიდგომა ნაითის არგუმენტს ეთანხმება, რომ უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია სარგებელზე მორგებული წარმოებაა ინსტიტუტებისთვის. ხორსანდის მიხედვით პრაქტიკაში მისი კომპონენტები კომერციალიზაციის ჭრილში მოიცავს 1) პრივილეგირებული ტალანტების მოზიდვას, 2) ბიზნესს და კორპორაციებს, 3) შეჯიბრს და ადამიანური კაპიტალის დინებას, 4) ბრენდინგს და პროფილის შენებას (Khorsandi 2014). ჩვენი კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ამ თეორიის მიხედვით, საჯარო უნივერსიტეტების ნომერ პირველი მოტივია ადამიანური კაპიტალის დინება და შემდგომ უნივერსიტეტის სახელი ანუ პროფილის შენება. მაშინ, როცა კერძო დაწესებულებეში მხოლოდ პროფილის შენებაა პრიორიტეტი. ინტერნაციონალიზაციის პროცესს კერძო დაწესებულებებში აქვს ამას უფრო კომერციული ხასიათი ვიდრე გლობალური მოქალაქეების აღზრდის მოტივი.

ამჟამად ერთადერთი, რისი პროგნოზირებაც შეგვიძლია, არის ის, რომ საქართველოში ინტერნაციონალიზაცია განვითარდება ტრადიციულად მიჩნეული პროცესების ფონზე და დაეფუძნება თანამშრომლობის, პარტნიორობის, გაცვლის, საერთო საერგებლის მიღებას და შენებას. ჯერ-ჯერობით, კი ინტერნაციონალიზაცია მზარდი კომპეტენტუნარიანობით, კომერციალიზაციით, თვით-ინტერესებით და სტატუსის შენებით ხასიათდება.

ხარისხის ღირებულებათა სისტემა ბეკის და კოუანის მიხედვით კონცენტრირდება რამდენიმე პროცესზე: კონტროლზე, მუდმივ გაუმჯობესებაზე, თავდადებაზე და წინსვლაზე. კვლევის ფარგლებში არ გამოვლინდა მკვეთრი სხვაობა კერძო და საჯარო უნივერსიტეტებს შორის. მათ ერთხმად მიაჩნიათ, რომ ქაოტურ საგანმანათლებლო გარემოს სჭირდება მტკიცე სტრუქტურა და პროცესების ცვლილებების ფონზე სტანდარტების უცვლელად შენარჩუნება. ხარისხი მიაჩნიათ იმ მექანიზმად, რომელიც ცდილობს ამ პროცესების მართვას. ის მუდმივ გაუმჯობესებაზეა ორიენტირებული.

პირველი ჰიპოთეზა, რომელიც ეხებოდა ალტბახის, ნაიტისა და მისი კოლეგების მოსაზრებებს ინტერნაციონალზიაციის პოლიტიკის პრაქტიკაში განსახორციელებელ აქტივობებს არ გამართლდა, რადგან საქართველოს უნივერსიტეტებში რესპოდენტები საუბრობენ მხოლოდ ხუთ ფაქტორზე ექვსიდან, ესენია: 1) საერთაშორისო სტუდენტების მიღება, 2) სტუდენტების და აკადემიური პერსონალის მობილობა, 3) კვლევა და ცოდნის გაცვლა ისევე, როგორც ტექნიკური დახმარება, 4) მარკეტინგი და უნივერსიტეტის გაფართოვება 5) სასწავლო კურიკულუმის ინტერნაციონალიზაცია, 6) ვირტუალური ტრანსნაციონალური ინტერნაციონალიზაცია. (Altbach & Knight, 2007; de Wit, 2011; Knight,

2008; Kehm & Teichler, 2007; Marginson & van der Wende, 2009; Maringe et al., 2013) აქედან არ არის საუბარი ტრანსნაციონალურ ვირტუალურ ინტერნაციონალიზაციაზე. რესპოდენტები საუბრობდნენ მიმდინარე გეგმებზე, რომლის ფარგლებშიც შეგვიძლია ვივარაუდოთ ზემოთ ხსენებული ფაქტორი, თუმცა გადაჭრით მასზე მსჯელობა არ ძალგვიძს.

მეორე ჰიპოთეზა დადასტურდა, რომლის ფარგლებშიც ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა პრაქტიკაში უკავშირდება ხარისხის მიზნებს ანგარიშვალდებულებასა და გაუმჯობესებას. აღმოჩნდა, რომ დემინგის ციკლურ ფაქტორებში „მოქმედების“ ეტაპი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია. ხოლო, ინტერნაციონალიზაციის განხორციელება გავლენას ახდენს უნივერსიტეტის ღირებულებებზე, სტუდენტთა მოტივაციასა და დამოკიდებულებებზე.

მესამე ჰიპოთეზა ნაწილობრივ გამართლდა, რადგან ინტერნაციონალიზაციის საფუძვლად მდებარე მხოლოდ ძირითად ფაქტორებზე ისაუბრეს რესპოდენტებმა, ხოლო დანარჩენი რაც ეხება ცხოვრების სტილის გაუმჯობესებას, ინტელექტუალურ ღირებულებებს და გლობალური ცნობიერების შექმნას მათ არ უსაუბრიათ.

გამართლდა ასევე მეოთხე ჰიპოთეზაც, სადაც საჯარო უნივერსიტეტებისთვის ერთ-ერთი ნომერ პირველი პრეროგატივაა ინტერანაციონალიზაციის პოლიტიკის განხორციელება, თუმცა,რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს,კერძო უნივერსიტეტები ამ პოლიტიკას ავტორიზაციის სტანდარტების ანგარიშვალდებულების გამო ატარებენ.

საინტერესო ფაქტორი იყო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსის მიერ გამოხატული უკმაყოფილება სახელმწიფო სისტემაზე. ის აღნიშნავს, რომ საერთაშორისო სტუდენტები აწყდებიან ბევრ პრობლემას ვიზებთან და მოსახლეობასთან დაკავშირებით. ვფიქრობ, რომ ეს საკითხი მომავალი კვლევის საკითხს წარმოადგენს.

საერთაშორისო ასპარეზზე ჩატარებულა მსგავსი თუმცა არა იდენტური კვლევები. შედეგების განხილვისას აღმოვაჩინეთ პარალელები ფინეთისა და ტაივანის მაგალითის განხილვისას სადაც ავტორი ლიუ (Liu, 2008) ღიად საუბრობს ინტერნაციონალიზაციისა და ხარისხის მექანიზმებს შორის მტკიცე კავშირზე ანგარიშვალდებულების ტერმინებში. ასევე ბენევორტის მიერ გამქვეყნებულ ნაშრომშიც ნათლადაა განხილული პოზიტიური კავშირი ამ ორ პროცესს შორის ჰოლანდიის მაგალითზე.

დასკვნა

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთავათ, რომ ინტერნაციონალიზაციის პროცესი წარმოადგენს ხელჩასაჭიდ ბერკეტს, რომლის ცვლილებითაც შეგვიძლია უნივერსიტეტში შიდა და გლობალური საკითხებით მანპულირება, განსაკუთრებით კი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სხვადასხვა ასპექტის.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე ინტერვიუების საშუალებით მინდოდა ინტერნაციონალიზაციის პრაქტიკაში განხორციელების მექანიზმები მენახა, რაც აშკარად გამოიკვეთა რამდენიმე მიმართულებით. ის აქტივობები, რაც კერძო და საჯარო უმაღელს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ხორციელდება საქართველოში თითქმის ჰგავს ერთმანეთს, თუმცა გამოიკვეთა მიზერული განსხვავებები ერთ-ერთ აქტივობაში. საქართველოში არსებული ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის პრაქტიკაში განხორციელების ძირითადად აქტივობები შეგვიძლია შემდეგ კატეგორიებად დავყოთ: სტუდენტების გაცვლითი პროგრამები, პერსონალის გაცვლითი პროგრამები, კვლევითი პროექტები და საერთაშორისო მემორანდუმები. განსხვავება დაფიქსირდა კერძო უნივერსიტეტებში ჩამომსვლელი სტუდენტების მხრივ. ზოგიერთ კერძო უნივერსიტეტს მისიიდან გამომდინარე არ აქვს საშუალება, ამ მიმართულებით განვითარდეს, თუმცა ხშირ შემთხვევაში ხარისხის სტანდარტების დაკმაყოფილება „აიძულებთ“, მათ რიგ დათმობებზე წავიდნენ და შეასრულონ მოთხოვნები.

რაც შეეხება ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკისა და ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმებს შორის ურთიერთობის დადგენას ცალსახად გამოიკვეთა ორი ტენდენცია. დიდ საჯარო უნივერსიტეტებს აქამდეც ჰქონდათ უნივერსიტეტის სტრატეგიაში საერთაშორისო პროცესებში ჩართულობა, მაშინ როცა კერძო უნივერსიტეტები ზოგ შემთხვევაში ვალდებულები არიან გარე მექანიზმებიდან გამომდინარე დაემორჩილონ იმ წესებს, რომელსაც ხარისხის ცენტრი უწესებთ. ეს კი მათ უკმაყოფილებას და განაწყენებას იწვევს. გამოდის, რომ ხარისხის უზრუნველყოფის მიზნებიდან ისინი ანგარიშვალდებულებას უფრო ანიჭებენ უპირატესობას, ვიდრე განვითარებაზე ორიენტირებულობას, თუმცა აქვე მინდა აღვნიშნო, რომ განვითარებაზე უარს არ იძახიან, არამედ პირიქით, მოტივირებულები არიან და სურთ კიდეც, თუმცა როცა საქმე ვალდებულებებს ეხება, მაშინ მათი მოტივები იცვლება.

დემინგის ციკლური ოთხი ფაქტორიდან გამომდინარე ინტერნაციონალიზაციის და ხარისხის უზრუნველყოფის დაკავშირება ხდება რამდენიმე დონეზე: ყველაზე მკვეთრად გამოკვეთილია „მოქმედების“ დონე, როგორც საჯარო ასევე კერძო უნივერსიტეტებში. ყველა ერთხმად ამბობს, რომ მათი უნივერსიტეტი კონცენტრირებულია რაც შეიძლება მოქნილი, ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის განხორციელებისკენ და მაქსიმალურად ცდილობენ საერთაშორისო გამოცდილების ადაპტაციას საქართველოს გარემოზე. საინტერესო ფაქტია, რომ მხოლოდ კერძო უნივერსიტეტების წარმომადგენლები საუბრობენ „გამოსწორების“ ეტაპზე, მაშინ როცა საჯარო უნივერსიტეტში ღიად აღნიშნავენ ინტერნაციონალიზაციის პრაქტიკაში განხორციელებლის მზარდ დინამიკას და პროგრესს. უდავოა, რომ „შემოწმების“ დონეზე კავშირი ჩვენს მიერ აღებულ ორ მთავარ პროცესს შორის არა რეციპროკული არამედ პირდაპირია: სხვა სიტყვებით, ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმების მოთხოვნებს უნდა ასრულებდნენ უნივერსიტეტები და არა პირიქით. „დაგეგმვის“ ეტაპი არ ეხება ხარისხის უზრუნველყოფას, არამედ შიდასაუნივერსიტეტო პრეროგატივაა.

ინტერნაციონალიზაციის კონცეფციის სოციო-კულტურული, პოლიტიკური, ეკონომიკური და აკადემიური ახსნა-განმარტებების განხილვისას აღმოვაჩინე, რომ უნივერსიტეტებს გააჩნიათ ცალსახად აკადემიური ინტერესები. სხვაობები არ დაფიქსირდა კერძო და საჯარო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის, ამ მართულებით. განსხვავდებოდა ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა: საჯარო უნივერსიტეტები მაქსიმალურად ცდილობდნენ საერთასორისო სტუდენტების მოზიდვას და ქართვლებისთვისაც უცხოენოვანი პროგრამების შეთავაზებას, მაშინ როცა კერძო უნივერსიტეტების მისია განსხვავდება და ზოგ შემთხვევაში ეწინააღმდეგება უცხოენოვან სწავლებას და პროგრამებს. ეკონომიკური თვალსაზრისით, როგორც კერძო, ასევე საჯარო უნივერსიტეტები აღნიშნავენ, რომ ინტერნაციონალიზაცია უმაღესი განთლების კომერციალიზაციის რისკს არ წარმოადგენს. რათქმაუნდა უნივერსიტეტის ინტერესია ფინანსური სარგებელიც, თუმცა ამ მიმართულებით მხოლოდ ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის იმედი არ აქვთ.

რესპოდენტები ერთხმად განაცხადებენ, რომ ინტერნაციონალიზაციის ფონზე მოხდება სწავლა/სწავლების ხარისხის გაუმჯობესება. ასევე პიროვნული, სოციალური და კულტურული გაზრდა, ცოდნის გაღრმავება და მეთოდების ადაპტიდება. შეგვიძლია ეს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის განხორციელების საფუძვლად მდებარე ფაქტორადაც და პოპულარიზაციის მექანიზმადაც მივიჩნიოთ. აღსანიშნავია საერთაშორისო პრესტიჟი, რეიტინგი, კონკურენტუნარიანობა, საერთაშორისო აღიარება და ნდობა.

ინტერნაციონალიზაციის განხორციელების ფონზე ბევრი რამ იცვლება უნივერსიტეტისთვის. ხდება ბევრი შიდა ღირებულებების შეცვლა, რისი კარგი მაგალითიცაა თავისუფალი უნივერსიტეტი, სადაც უნივერსიტეტის მისია, (რომ ქართულ ენაზე მიმდინარეობდეს სწავლება) რისკ ქვეშაა ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმების გამო. პოლიტიკის მსგავსი შემოჭრა შიდა საუნივერსიტეტო „სამზარეულოში" რთული გასაკონტროლებელია, მისგან თავდაცვის ბერკეტის პოვნა კი ერთ-ერთ გადაუჭრელ პრობლემას წარმოადგენს.

ახლა გადავიდეთ სტუდენტების დამოკიდებულებების დაფიქსირებაზე, სადაც გამოიკვეთა რამდენიმე მიმართულება. სტუდენტები ერთხმად ფიქრობენ, რომ ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის განხორციელებას ძალიან დიდი წვლილი მიუძღვის სწავლა/სწავლების პროცესში და ხშირ შემთხვევაში ეს წვლილი პოზიტიურია. ისინი თვლიან, რომ საჭიროა სტუდენტების უფრო მეტი ჩართულობა ადმინისტრაციულ პროცესებში, რათა ძირეულ ცვლილებებში მათი როლიც გამოჩნდეს. მთავარი დადებითი შედეგი რაც შეიძლება ამ პროცესებს მოჰყვეს არის ცოდნის, თვალსაწიერის და ინფორმაციის დიდი მოცულობით გაფართოება, ახალი მეთოდოლოგიის გადმოღება და გამოცდილების შეძენაა. რისკ ფაქტორებად ასახელებენ მხოლოდ ერთეული პიროვნებების სარგებელს, რომელიც შესაძლოა უნივერსიტეტის დონეზე არც გავრცელდეს.

ბოლოს მინდა აღვნიშნო, რომ მივაღწიეთ კვლევის ფარგლებში დასახულ ყველა მიზანს იმ ამოცანების შესრულებით, რომელიც დაგეგმვის ეტაპზე შევქმენით. მიღებული

მონაცემები ჩვენს მთავარ კითხვებს პირდაპირ პასუხობს. აღმოჩენები კი ძირითადად ეხება საქართველოს ბაზარზე კერძო და საჯარო უნივერსიტეტებს შორის სხვადასხვაობებს. საოცარი იყო კერძო უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმებისადმი ძლიერი არაკეთილგანწყობა. კვლევის ფარგლებში ყველაზე დიდი გამოწვევა იყო ინფორმაციის მიღებაზე მუშაობა, რადგან სამმართველოს უფროსებთან შეთანხმება და მათი პასუხების ჩაწერა დროის ფაქტორზე დიდად იყო დამოკიდებული.

კვლევის შედეგად შემუშავებული რეკომენდაციები

უნივერსიტეტის შიდა და გარე პოლიტიკა უნდა გადაიხედოს ხარისხთან მიმართებით და განახლდეს დროთა განმავლობაში კვლევების საფუძველზე, რათა მოხდეს თანამედროვე მისიის მოდიფიცირება დაინტერესებული მხარეების მოლოდინების შესაბამისად. კვლევამ აჩვენა, რომ რომ ინტერვიუების ანალიზის შედეგად დიდი კავშირი არსებობს საერთაშორისო გამოცდილებასა და უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმებს შორის. აქედან გამომდინარე შეგვიძლია დავასკნათ, რომ ინტერნაციონალიზაციის პოპულარიზაცია საგრძნობლად აუმჯობესებს სასწავლო პროცესს. ცხადია, რომ ინტერანციონალიზაციას გავლენის მოხდენა შეუძლია შიდა პროცესებზე და განსაკუთრებით უნივერსიტეტის ღირებულებებზე. ეს ის ბერკეტია, რომლითაც შეგვიძლია ვარეგულიროთ მრავალი პროცესი, წამოვიწყოთ ახალი ინიციატივები და ჩვენი წვლილი შევიტანოთ გლობალური პოლიტიკის ჩამოყალიბებაში.

მეორე საკითხია ის, რომ გლობალიზაციას შეიძლება ჰქონდეს პოზიტიური და ნეგატიური შედეგები უმაღლეს განათლებაში. არსებულმა ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკამ შესაძლოა შეამციროს საერთაშორისო სტუდენტთა პოპულაცია, რომელიც მასპინძელ უნივერსიტეტებს საზღვარგარეთ ეძებს გარკვეული პრობლემების გამო. ამ პრობლემებს ვაწყდებით სახელმწიფოს დონეზე, რომელიც განათლების სისტემის რეგულირების საზღვრებში არ არის.

კარგი იქნება, თუ იარსებებს თანამშრომლობითი სისტემა ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიმართ, რომელიც კერძო უნივერსიტეტების მოთხოვნებს მეტ-ნაკლებად გაითვალისწინებს და დააკმაყოფილებს.

მომავალი კვლევის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს სტუდენტების ლოკალური და საერთაშორისო ღირებულებების საკითხი (რა მოლოდინები აქვთ მათ მიმღებ უნივერსიტეტში). ასევე საინტერესო იქნება სამომავლოდ ვიკვლიოთ ვირტუალური ტრანსნაციონალური ინტერნაციონალიზაციის საკითხები ნაითის და მისი კოლეგების თეორიის ფარგლებში. ჩვენი კვლევის ფარგლებში ასევე დავინტერესდით საერთაშორისო სტუდენტების საქართველოში ჩამოსვლის საკითხითაც. კარგი იქნება გავიგოთ მათი მოტივაცია, ღირებულებები და დამოკიდებულებები.

კვლევის ნაკლოვანებები

კვლევის პირველი ნაკლოვანება არის შერჩევა, რომელიც სტიქიური იყო და აქედან გამომდინარე მხოლოდ ის სტუდენტები ვიკვლიეთ რომლებიც დაგვთანხმდნენ ფოკუს-ჯგუფში მონაწილეობაზე.

კვლევის მეორე ნაკლოვანება არის გენერალიზაცია. კითხვის ნიშნის ქვეშ დგება საკითხი მონაცემების განზოგადებისთვის. კვლევის ფარგლებში გამოიკითხა მხოლოდ სამი უნივერსიტეტი, რაც საქართველოს შემთხვევის შესწავლისთვის მცირეა. ასევე ჩატარდა სამი ფოკუს ჯგუფი სტუდენტთა დამოკიდებულებების საკვლევად, ჯამში 24 პიროვნება. ვთვლით რომ ეს კვლევა ძალიან კარგი წინაპირობაა მომავალი უფრო მასშტაბური კვლევების ჩასატარებლად.

კვლევის მესამე ნაკლოვანება არის ის, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი წარმომადგენლების ჩაწერა ვერ მოხერხდა რიგი გარეშე მიზეზების გამო.

გამოყენებული ლიტერატურა

Abdouli, T. (2007). *Higher Education Internationalization and Quality Assurance in North-South Cooperation.* Tunisia: University of Sousse .

Aerden, A., Decker, F., Divis, J., & Frederiks, M. (2013). Assessing the internationalization of degree programs: experiences from a Dutch-Flemish pilot certifying internationalization. *Compare*, 56-78.

Altbach, P., & Knight, J. (2007). The internationalization of higher education: Motivations and. *Journal of Studies in International Education*,, 290-305.

Beck, E. D., & Cowan , C. C. (1996). *Spiral Dynamics: Mastering Values, Leadership and Change.* Malden: Blackwell.

Benneworth, P., De Boer, H., File, J., Jongbloed, B., & Westerheijden, D. (2011). *Engagins In The Modernisation Agenda For European Higher Education.* Enschede: University of Tewente.

Biggis, J. B. (2006). From Theory to Practice: A Cognitive Systems Approach. *Higher Education Research & Development*, 73-85.

Colby, J., & Witt, M. (2000). *Defining Quality in Education.* New York: UNICEF.

Damme, D. V. (2000). Internationalization and quality assurance: Towards worldwide accreditation? *European Journal for Education Law and Policy*, 1 - 20.

de Wit, H. (2011). *Trends, issues and challenges in internationalization of higher education.* Amsterdam: Amsterdam: Centre for Applied Research on Economics and Management, Hogeschool.

Deming , W. E. (2018). *The Deming Institute*. Retrieved from https://deming.org/explore/p-d-s-a

Garvin, D. A. (1988). *Managing Quality: The Strategic and Competitive Edge.* New York: The Free Press.

Gibbs, G. (2010). *Dimensions of Quality.* New York: The Higher Education Academy.

Harvey, L., & Green, D. (1993). Defining Quality. *Assessment & Evaluation in Higher Education*, 9 - 34.

Jooste, N., & Heleta, S. (2017). Global: Changing the Mindset in Internationalisation Research. In G. Mihut, P. G. Altbach, & H. de Wit, *Understanding Higher Education Internationalization* (pp. 5 - 9). Rotterdam: Sense Publishers.

Karlsson, J. (2004). Internationalization and Quality: Two trends in One. *Institutional Management in Higher Education*, 1 - 4.

Kemenande, E. V., Pupius, M., & Hardjono, T. W. (2008). More Value to Defining Quality. *Quality in Higher Education*, 176-177.

Khorsandi , A. T. (2014). A Critical Policy Analysis of Internationalization in Postsecondary Education : An Ontario Case Study. 158.

Kimmo, K. (2004). The European Constitution in the Making. *CEPS Paperback*, 21 - 26.

Kis, V. (2005). *Quality Assurance in Tertiary Education:Current Practices in OECD Countries and a Literature Review on Potential Effects.* Paris: OECD.

Knight, J. (1994). Internationalizationa: Elements and Checkpoints. *CBIE Research*, 1 - 15.

Knight, J. (2003). Updating the definition of internationalization. *International Higher Education*, 2 - 3.

Knight, J. (2004). Internationalization remodeled: Definitions, approaches and rationales. *Journal of Studies in International Education*, 8, 5-31.

Knight, J., & de Wit, H. (1995). Strategies for internationalization of higher education:Historical and conceptual perspectives. *Amsterdam: the European Association for International Education*, 5-32.

Larsen, M. (2013). Internationalizing higher education: A case study of ethical internationalization? *Paper presented at the CIES Conference*, (pp. 2-3). New Orleans.

Liu, P.-Y. (2008). *The impacts of internationalization on quality assurance policy:a comparative study of Finland and Taiwan.* Tampere: University of Tampere.

Maringe, F. (2010). The meanings of globalization and internationalization in HE: Findings from a world survey . *London: Continuum International Publishing*, 17-34.

Maringe, F., & Gibbs, P. (2006). Marketing higher education: Theory and practice. *London: Open University Press*.

Marinoni, G. (2018). *Association Internationale des Universités*. Retrieved 2003, from https://www.iau-aiu.net/5-Global-Survey-Instructions

Martin, M., & Stella, A. (2007). *External quality assurance in higher education: making choices.* Paris: UNESCO:International Institute for Educational Planning.

Pitelis, C., & Sugden, R. (2000). *The Nature of the Transnational Firm.* New York: Routledge.

Söderqvist, M. (2002). *Internationalisation and its Management at Higher-Education Institutions. Applying Conceptual, Content and Discourse Analysis.* Aalto University Learning Centre.

Stier, J. (2004). Taking a critical stance toward internationalization ideologies in higher education: Idealism, instrumentalism and educationalism. *Globalisation, Societies and Education*, 1-28.

Yeravdekar, V., & Tiwari, G. (2014). Internationalization of Higher Education and its Impact on Enhancing Corporate Competitiveness and Comparative Skill Formation. *Elsevier*, 203 - 205.

განათლება. (2014, 02 27). Retrieved 2008, from https://edu.aris.ge/news/iliaunis-axali-reqtoris-xedva.html

ზურაბიშვილი, თ. (2006). *თვისებრივი მეთოდები სოციალურ კვლევაში.* თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი.

ზურაბიშვილი, თ. (2006). *თვისებრივი მეთოდები სოციალურ კვლევაში.* თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი.

(2016). *თსუ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმა 2017-2021.* თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

სამნიაშვილი, ლ. (2017). *ქართული უნივერსიტეტების ფუნქციონირების ძირითადი განზომილებები და მათში მიმდინარე პროცესები.* სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. (2018, 05 11). Retrieved 2015, from http://www.mes.gov.ge/content.php?id=8399&lang=geo

(2018). *უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები.* თბილისი: განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული სააგენტო.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები. (2018, იანვარი 31). თბილისი.